

13 36 - 1526
1909

№ 36

შინაური საქმეები

კვირა, დეკემბერი 20, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეკით.

აღრმსი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირული გაზეთი.

შინაურსი: ქუთაისი 13, დეკემბერი; შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტესი?—ნატარყანელისა; დეკანოზი იოანე ვოსტოგოვის სიტყვების გამო, საქართველოს მოკლულ რუს ექსარხოზის ნიკონის შესახებ—ლ. ჩიხელია; წერილი რედაქციის მიმართ—დეკ. კოტე ცინცაძისა; რას ვმბობენ შესანიშნავი ა. ამიანები ბიბლიის შესახებ—ო. მჭირისა; დათიას შეილები (ლექსი)—რ. საჯავახოელისა.

4088

ყოველკვირულ გაზეთი

„შინაურ საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახკარის შესახვევაში № 17) და საქართველო საბჭოში.

წლიური ფასი 1 მან. ხან. წლით 2 მ. დ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

დაიბეჭ. N. N. ახალი ხელის მომწ. დაფთ. 1 მ. დ 50 კ.

ქუთაისი 20 დეკემბერი.

ყველგან ისეთი სწავლულებია, როგორც ჩვენში? ღმერთმა დაიფაროს! მაშინ ხომ ქვეყანა თავქვე დადგებოდა, მაშინ ხომ ქვეყანას აღარ ექნებოდა ზნეობრივი სამყარო, მაშინ ხომ გაპირუტყვედებოდა საცოდავი ადამიანი. ჩვენშიც შეხედებით შიგა და შიგ ისეთ ნასწავლებს, რომლებიც ძირითადად განირჩევიან თავის ამხანაგ ნასწავლ-უბრინციპო ადამიანებისაგან, მაგრამ მათი რიცხვი ისე მცირეა, მათი მოქმედება და სიტყვა-მოძღვრება ისე გაუბედავი და მიართურია, რომ თითქოს არც კი ემჩნევათ არსებობა. თანაც, სულს ცოდვილო,

არც უნდათ უღალატონ ამ საერთო, საზოგადო მატერიალისტურ დღეს დღეობით ჩვენში გამეფებულ მსოფლმხედველობას. თანამედროვე ქართველი საზოგადოდ მოკლებულია ყოველგვარ მოქალაქობრივ გაბედულებას და რა გასაკვირვებელია, რომ ამ შემთხვევაშიც სიმბდალუ გამოიჩინოს იმ ორიოდ პირმა, რომლებიც გულში სხვას ფიქრობენ. სხვისი რაღა ვთქვათ, რომ თვით ეკლესიის წარმომადგენელიც კი უმეტეს შემთხვევაში ურცხვად უთმობენ გზას სარწმუნოების გამანადგურებელ მიმდინარეობას და გულგრილად შეჰყურებენ იმ საღვთო დაწესებულების წაბილწვას და დამხობას, რომლის სამსახური უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ფიცით თავს იღვეს. ეს იქიდგან წარმოსდგება, რომ ბევრი მათგანი მხოლოდ გარეგნობით არის მღვდელი და შინაგანათ კი მგელია, რომელიც ცხვრის ფარას მიტომ ეტრფის, რომ თავი შიმშილობისგან უზრუნველჰყოს. არაფერი კეთილი და საღვთო დაწესებულება, რა თქმა უნდა, მათ არ ახალისებს და აბეზარს ხდის კიდევაც. თუ ეს დაწესებულება მათგან მცირედენ ნივთიერ დახმარებას თხოულობს. მაგალითისთვის შორს არ წავალთ და მიუთითებთ ქუთათურ დაბალ სამღვდლოების ზოგიერთ უსულგულო წევრებზე, რომლებიც ხეტობენ საქველმოქმედ-მოქმედ-

საქართველოს
მთავრობის
ბიბლიოთეკა



დო დაწესებულებას ექვის თვალთ უყურებენ. ასეთ მამებს ხანდახან თვალსაჩინო ალაგი უჭირავთ ადგილობრივ სასულიერო და საერო დაწესებულებაში საიდგანაც ნაცვლად კეთილი საქმით ბრწყინვალეობისა და სინათლისა სიბნელეს ჰფენენ და ზიზლით უყურებენ ყოველ სინათლის წყაროს.

ასე არ არის სხვაგანთქო ვსთქვით თავშივე, და ღმერთმაც ნუ ჰქნას.

ალარ ვეხები ჩვენს სამღვდლოებას რომელიც ხალხისგან რჩება და არც ერთ დაწესებულებას ისეთს არ ინახავს, რომელსაც ხალხისათვის პირდაპირი სულიერი სარგებლობა მოჰქონდეს. მას მიუთითებ სხვა საქრისტიანო ქვეყნების სამღვდლოებაზე, რომელსაც მოფენილი აქვს მთელი ბადე სხვა და სხვა საქველმოქმედო განმანათლებელ დაწესებულებათა და გადავალ ისევ ნასწავლ საზოგადოებაზე.

არაიან ცხოველები, რომლებსაც თავთ რომ განვითარების და წინ სვლის ნიჭი არა აქვთ სხვას უშნოდ და ტლანქად ბაძავენ. ეს ის ცხოველები გახლავან, რომლებსაც ჩვენი დარვინები კაცობრიობის მამად აღიარებენ და რომლებიც სწორედ ერთ თვისებაში ჩვენი წინაპრები უნდა იყვნენ. ეს თვისება გახლავთ უშნო, ულაზათო და ტლანქი მიმბაძაობა ყველაფერში, რის მიწთომა და გამოკვლევა ჩვენ არ შეგვიძლია, მიმბაძაობა, ისეთ საგნებში და საქციელებში, რომლებიც კი არ ამალდებენ, კი არ აზეკაცებენ ადამიანს, არამედ ამდაბლებენ და ხდიან მას უბრალო მოდის სათამაშოდ, უბრალო მანქანად, რომლის უმიზნო დანიშნულება საქმლის მონელებაა და დედალ-მამლობა არაფრის მოხელე მოდგმის შესანახად. ამ მიმბაძაობითაა, რომ ჩვენი ნასწავლი საზოგადოება გაგვისტუდენტდა.

რომ ყველგან ასე არ არის, რომ ნასწავლი და განათლებული კაცობრიობა ისე შეშლილი არ არი, თანამედროვე

მატერიალისტურ მოძღვრებაზე, როგორც ჩვენი „ები“ და „ისტები“, რომ სარწმუნოებას და საღმრთო წერილს არ დაუკარგავს თავისი გავლენა, მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ამერიკელთ ცხოვრებიდან. მგონია ვერავინ გვიკიჟინოს, რომ ვსთქვათ, ეს მხარე განათლებით და განვითარებით შორს გასცილდა არა თუ ჩვენ საცოდავ საქართველოს არამედ შედარებით ძველ ევროპასაც გადააქარბა. ამ ახალგაზდა ქვეყანაში, სადაც ყოველგვარი სიმდიდრე და სიუხვე ბუნებისა ხელს უწყობს ცხოვრების უმაღლეს პრინციპთა დავიწყებას ღუარყოფას, არსებობს მრავალი ეგრეთწოდებული ქრისტიანული კავშირები, რომლების მიზანია ხელი შეუწყონ ახალგაზდობის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ აღზრდას, აღუძრან ახალგაზდობას ინტერესი საღვთისმეტყველო განათლებისა და სამღვთო წერილის—ბიბლიის—შესწავლისა და მის ზნეობრივ პრინციპებზე ცხოვრების მოწყობისა. ეს კავშირები არ წარმოადგენენ ისეთ მქლე დაწესებულებებს, როგორიც არის ბევრი ჩვენი საერო დაწესებულებები. მაგ. ჩიკაგოს ქრისტიანულ კავშირს ეკუთვნის ამ ქალაქის ერთ უმთავრეს ქუჩაზე ცამეტსართულიანი სახლი, რომელიც არა თუ მხოლოდ შკოლოურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ცოტად თუ ბევრად კომფორტზედაც უცხოთ არ არის. ყოველ ზამთრობით აქ დაიარება 1500 კაცზე მეტი; ნა სხვა და სხვა საგნებს გადიან მსმენელნი და მათ შორის ღვთის მეტყველებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ყოველ კვირას არის დანიშნული სარწმუნოებრივი კრება, რომელსაც ათასამდის ახალგაზდა მსმენელი ესწრება. გარდა ამისა ყოველ დღე შუადღისას იკრიბებიან სალოცვილოდ შენობის ერთ ზალაში. პენსილვანიის უნივერსიტეტის ქრისტიანულ კავშირს აქვს თავის საკუთარი მშენებრივი შენობა, რომელშიდაც რამ-

დენიმე ხალა მთლად თეთრი მარმალი-
ლოს კედლებიანი დანიშნულია განსაკუ-
თრებით საღმრთო წერილს—ბიბლიის
შესასწავლად. ბოსტონის კავშირის მშვე-
ნიერ შენობას ამშვენებს შემდეგი ემ-
ბლემა: ქვაში გამოჩუქურთმებულ ხელს
მედგრად უჭირავს ჯვარი და ყველას
უჩვენებს მას; ამ ნიშის ქვეშ შემდეგი
წარწერაა: „ვიცავ და დაცულ ვარ“

ქ. ნიუაორკში რამოდენიმე ასეთი
კავშირია დაარსებული, რომელთა შორის
თავის სიმდიდრით შესანიშნია კავშირი
მე 23 ქუჩისა.

ასეთი ქრისტიანული კავშირები არ-
სებობენ არა მარტო ყველა დიდ ქალა-
ქებში, არამედ პატარა ქალაქებში და
სოფლებშიც კი *). ერთ ასეთ კავშირთა-
გან შესანიშნავია პატარა, სოფ. ნოტრ-
ფილდის კავშირი ან სარწმუნოებრივი
ბანაკი, რომლის მსგავსი ბევრია ამერი-
კაში. აქ ყოველ ზაფხულობით, სასწა-
ვლო წლის დასრულების შემდეგ, ათა-
სობით მიისწრაფვის მოსწავლე ახალგაზ-
დობა მისთვის, რომ ცნობილ ადა-
მიანთა ხელმძღვანელობით შეისწავლონ
საღვთო წერილი, ერთათ ილოცონ და
მით განმტკიცდენ ქრისტიანულ ცხოვ-
რება მოქმედებაში სტუდენტებთან ერ-
თად ნორტფილდის აუდიტორიების მსმე-
ნელი სააგარაკოდ მოსული საზოგადო-
ებაცაა, რომელსაც სწყურია დღეში
ორი საათი მაინც შესწიროს ღმერთზე
საუბარსს.

გაზეთის სტატიის ვიწრო ფარგალი
ნებას არ გვაძლევს განვაგრძოთ მავალი-
თების მოყვანა, მაგრამ ვგონებთ მოყვა-
ნილნიც საკმარისნი არიან მისთვის,
ვისაც აქვს ყურნი სმენად და თვალნი
ხედვად.

შეცდომის განწორება: 35 ნომერში
მოწინავეში შეგვეპარა შეცდომა, სწორია „Cudmzeo“
უბრალოდ „Cum deo“—ღვთით.

*) Ласкельнъ—Хрестіанскіе союзи стр. 12.

შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათ-
ლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება
იესო ქრისტესა? *)

(რეფერატი უფლებათა კანდიდატის ბარ ან მ. ნიკოლაისა).

(თარგმანი რუსულიდან).

რომ შეგუფარდოთ ერთმანეთს ყოველივე
ის, რაც ჩვენ გავიგეთ ქრისტეზე, მის სიტყვებზე
და მოქმედებაზე, ჩვენ ში იბადება მწვავე საკითხი:
ვინ არის იგი?

რაც უფრო ღრმად ვუკვირდებით ჩვენ
ამ საკითხს, მით ურო გამოსაცნობი ხდება
ჩვენთვის ქრისტეს პიროვნება. მტკიცება
იმისი, რომ ის მხოლოდ გენიოსი ადამიანია
შეუძლებელია. როგორ შეეძლო საღად მოაზრე
კაცს, ეთქვა თავის თავზე—პირველ აბრაამის
ყოფამდე მე ვარ (იოანე 8, 18), ანუ—მე ვარ
გზა, ქეშმარიტება და ცხოვრება (იოანე 14-6).
როგორ შეეძლო ქუჩუან კაცს უარი ეთქვა თვისი
განმაახლებელი გეგმების ასრულებაზე, როდე-
საც მას სამეფო გვირგვინს აძლევდნენ (იოანე
6. 15) და შეგნებულად განზრახ დაეღუპნა
თავისი სახელი, როგორც ეს მან ქმნა, იოანე
მოციქულის მოწმობით (თთ 6, 7, 8)? როგორ
შეეძლო მას, თავისი სიციცხლის სამწუხარო
აღსასრულის მცოდნეს, გამოეცხადებინა, რომ
ის მოვა დიდებით და გაიმარჯვებს მოწი-
ნააღმდეგეებზე? როგორ შეეძლო მას თავი
დაესახნა ზეცათა სასუფეველის მეფედ (მათე, 24,
30-31) და ცოცხლების და მკვდრების მომავალ
მსაჯულად (მათე 25, 31... ლუკა 21, 36)? მაგ-
რამ იქნება შეუძლებელი იყოს ქრისტესწოდოს
იდელურად „კაი კაცი“, რომელიც ქადაგებდა
კეთილს და ყველასთვის ეძიებდა კეთილს,
რისთვისაც ივნო კადეც? თუ ქრისტე იყო
მხოლოდ კაცი, მაშინ „ცული“ კაცი ყოფი-
ლა, რადგანაც ძალიან მოიჩემებდა. აცდენდა
სხვაებსაც და თავის გულუბრყვილო მოწა-
ფეებს გულგრილად ტანჯვა-ვაებას ჰპირდებო-
და (მათე 10, 16-25 ლუკა 21, 12).

ბევრნი ფიქრობენ, რომ ქრისტეს თვითონ
გულწრფელად სწამდა, რასაც ამბობდა, მაგრამ
გატაცებული იყო თავის ოცნებებით და ამი-
თი სურთ, აიცილონ თავიდან გაქირვება. ამ

აზრის დასაფასებლად საკმარისია, აღვადგინოთ ჩვენ გონებაში ქრისტეს სახე სახარების მიხედვით. „მუდმივი სიცხადე, მშვიდობიანობა, თავდაქერილობა, სიწყნარე და მოთმინება ქრისტესი, ამბობს პროფესორი შაფუი,-ძირითადი წინააღმდეგია მისი, რაც წარმოადგენს მეოცნებეს განსაკუთრებით „ნიშანს. ნუ თუ შესაძლებელია, რომ იმისთანა სული, წმინდა, როგორც ეს, განმაცხოველებელი, როგორც ჰაერი, მკვერი როგორც მახვილი, საღი და ძლიერი, ყოველთვის სწორი ასე ღრმად სცდებოდეს თვისი მოწოდების შესახებ? ის ვინც გაიცნო ქრისტე სახარებით არ ჩასთვლის მას „ქუაზე შემცდარად,“ ან „შევნებულ მატყუარად“. მაშ ვინ არის იგი“?

რაც უფრო მეტს ვფიქრობთ იესო ნაზარეტელის პიროვნებაზე, მით უმეტესად საგამოცანო ხდება იგი. უნებლიეთ მივდივართ იმ დასკვნაზე, რომ თუ იგი ის არ არის, რათაც თავი მოჰქონდა, არ არის ღვთაების განხორციელება, არამედ მხოლოდ კაცი, მაშინ ის ყოფილა შეუძლებელი შეერთება უდიდესი ზნეობითი სიმაღლისა და უღრმესი თვალმაქობისა, უდიდესი გენიოსობისა და სისულელისა, უღრმესი სიმაღლისა და წარმოუდგენელი სიამაყისა, უებრო სამართლიანობისა და უსაძაგლესი სიცრუე-ტყუილისა, უსაკვირველესი ფსიხოლოგიური გამკვრეტელობისა და შეუძლებელი თვითრჯულობისა, უმაღლესი სიფხიზლისა და გონიერობისა მსჯალო ბაში და ყოფაქცევაში და მიუწოთმელი დტაცებისა,-ერთი სიტყვით, ის ყოფილა შეუძლებელი, არაქვეყნიური საოცრება.

ხოლო, თუ ყველას, რასაც იგი ამბობდა თავის თავზე და თავის ღვთაებაზე ჰეშმარტება, მაშინ ყველა თვისებანი მისი ხასიათისა ერთდებთან საკვირველ ჰარმონიულ სახედ არა ქვეყნიური სიმშვენიერისა და სისრულისა.

იმნება ჰრისტე შვილია თავის ღროისა?

ყოველი კაცი თავისი ზნეობის და გონების უპთავრესი თვისებებით არის შვილი თვისი ღროისა და ნაწარმოები იმ წრისა, რომელშიც ტრიალებს, არიან ხოლმე გენიოსი

მოწინავე პირები, როგორც მაგ. პლ.ტონი, კონფუცი, გუტამა-ბუდდა, გოტე და სხვანი, რომელნიც აღმატებიან თავის თანამემამულეთ და თავის დაღს ასმენ მთელს ერს და ისტორიის მთელ პერიოდებს. მაგრამ ეს კაცები მაინც თავის ღროის შვილები არიან. შეიძლება იმისი გამოკვლევა, როგორ გამოსთქვამენ ხოლმე ისინი იმ აზრებს, რომლებიც მანამდე სთვლემდნენ ხოლმე ხალხის გონებაში. შეიძლება ამიტომ არის ხოლმე, რომ მათ აქვთ გავლენა მხოლოდ ცნობილ ღროს ან განსაზღვრულ ეროვნებაზე.

სინტერესოა გავიგოთ, რამდენად მტკიცდება ეს წესი ქრისტეს პიროვნების შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ის ემორჩილებოდა მოსეს სჯულის ყველა ბრძანებას და ხორციელად იყო ნამდვილი შვილი ისრაელის ერისა. მაგრამ, ამას მიუხედავად, როგორი უფსკრულია მის და იმ ღროის და მის შემდეგი საუკუნეების ებრაელთა წარმომადგენელთა შორის ისინი, ვისაც გაცნობილი აქვთ ფარარის წიგნი „ცხოვრება იესო ქრისტესი“ გაიხსენებენ, როგორ შეკრული იყო მაშინდელი ხალხი რჯულის ასოთი, რაბ ნების ბრძანებით და, მთელი ჰოროზინტი ებრაელობისა განისაზღვრებოდა მხოლოდ პალესტინით. ერთი უღიბერალესი რაბანი იმ ღროსა ჰილლელი, მოწყალების მაქადაგებელი, რომელიც სურთ ჩათვალონ ქრისტეს მოძღვრად, ჯერ ისევ ისე შეკრულ შებოქილი იყო ვიწრო საღვთისმეტყველო კაზუისტიკით, რომ მან დასწერა მეცნიერული თხუზულება შესახებ იმისა, შეუძლიან თუ არა მართლ მოიწმუნენ ურიას, შაფათის დაურღვევლად, შექამოს შაფათს დადებული ქათმის კვერცხი.

როგორი ახალი, ღრმა, სულიერი შვეწება აქვს ღვთისა და საღვთო წერილასა ქრისტეს და რანაირი გასაცვიფრებელი სულიერი თავისუფლება და შეხედულობათა სიფართოვე-ერწმენინ ჩემი, უთხრა მან სამარტელ დედაკაცს (იოანე 4, 21—24), რამეთუ მოვალს ვამი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალიმს თავყვანის სცემდეთ მამასა... ქეშმარტნი თავყვანის მცემლნი თავყვანის ცემდენ მამასა

სულითა და ქეშმარიტებით, რამეთუ მამაცა ესე ვითართა ეძიებს თაყვანის მცემელთა მისთა. სულ არს ღმერთი და თაყვანის მცემელთა მისთა სულითა და ქეშმარიტებითა თანა აძსთ თაყვანის ცემა. ვისგან უნდა ესწავლნა მას ასეთი პრინციპები? რანაირი ღრმა ცვლილება შეიტანა ქრისტემ ისრაელთა გონებაში, როცა მან აჩვენა ქეშმარიტი აზრი მოსეს სჯულისა შაბათის შესახებ სიტყვებით: შაბათი კაცისათვის დაებადა და არა თუ კაცი შაბათისთვის“ და არსება სარწმუნოებისა, რომელიც მღვდმარობს არა მარტო სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა გარეგნულს აღსრულებაში, არამედ პირველად ყოვლისა. ლეთისადმი შინაგან მოქცევაში (მათე 5, 20; 15, 8 და 23, 25-28). რანაირ საკვირველად იყო ის თავისუფალი ურულ ეროვნულ ცრუ მორწმუნებათაგან? (იოანე 10, 16). როგორ ერთბაშად შეიცვა მთელი ქვეყანა მისმა მხედველობამ, როცა ის უბრძანებდა მოციქულებს წასულიყვნენ და მოემოწაფნათ „ყოველნი ტომნი“ (მათე 28, 14) და ექადაქნათ სახარება არა მარტო ურიასტანში და სამარიაში, არამედ აღსასრულამდე სოფლისა (საქმე მოც. 1, 8)? როგორ მძიმედ ითვისებდნენ ამ პრინციპებს თვით მოციქულებიც კი (საქმე მოც. 10, 34, 35 და 11, 12) და აწინდელს დროში თვრამეტ საუკუნის შემდეგაც გაუგებარნი არიან ეს პრინციპები მრავალთათვის.

მაშ, ვისგან ისწავლა ქრისტემ თავისი სიბრძნე და შესხედულობათა სიფართოვე? პროფესორი ჰარნაკი გადაჭრით ამბობს, რომ თუმცა სწავლულ რაბინთა გავლენა ძალიან ემჩნევა პავლე მოციქულის ნაწერებს, მაგრამ ქრისტეს სულ არ ეტყობა „სრულიად ცხადია რომ ქრისტეს რაბინებთან არ უსწავლიაო,“ — სწერს ის.

საიდანაა მაშ ქრისტეში ასეთი სიღრმე და სიფართოვე, რომლებიც აქამდეც გასაცვიფრებლებია და აყენებენ მას კაცობრიობის ყველა დროის სულიერ მოძღვართა უმაღლეს? როგორ შეიძლო ამ ოცდა ათი წლის „ცმაწვილმა ურიამ“ გახდობა ყველა ეკლესიათა თავად—

ერთნაირად ესკიმოსებისა, ინდუსებისა, ზანგებისა, მონგოლებისა და ევროპა-ამერიკის განათლებულ ერთა? როგორ შეეძლო მას, სამიწლის მქადაგებლობის შემდეგ გამხდარიყო გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ყველა უკეთეს კაცთათვის ყველა დროისა, ყველა ერთა და საზოგადოების ყველა კლასთა? შეიძლებაოდა რომ ქრისტე ყოფილიყო „ნაწარმოები“ ნაზარეთისა ან პალესტინისა?

მაგრამ იქნება ქრისტეზე გავლენა იქონია რომის ან საბერძნეთის კულტურამ და ცივილიზაციამ? „ბერძნული ენის ცოდნა ძალიან იყო გავრცელებული პალესტინაში“, ამბობს პროფესორი ჰარნაკი. იმდენათ, რამდენათაც სვედური ენის ცოდნაა გავრცელებული ფინლანდიაში ჩვენ დროს; მაგრამ სახე ქრისტესი და მისი სიტყვები, განაგრძობს ის, არ ენათესავებიან ბერძნული ცივილიზაციის ქვეყანას“. იგივე ითქმის რომაელი კულტურის გავლენის შესახებაც მაზე, საკმარისია გავიხსენოთ რომ ქრისტეს მოძღვრება სდგას განსაკუთრებით სარწმუნოებრივ ნიადაგზე და რომ სწორეთ ამ მხრივ მრავალღმერთობა და კერპთმსახურება რომაელთა, ბერძნთა და ქალდეველ ერებისა ძირითადად ეწინააღმდეგებოდა ქრისტეს მსოფლმხედველობას.

რალა უნდა ითქვას ბუდდიზმის გავლენის შესახებ ქრისტეს მოძღვრებაზე? ხშირად ვკითხულობთ, ნამეტურ გაზეთების ფელეტონებში, რომ ქრისტემ სიკმაწვილეში მოიარა ინდოეთი და იქიდან მოატანა ნაწილი მაინც თავისი მოძღვრებისაო. მაგრამ ასეთი ფიქრი სრულიად უსაფუძველოდ რჩება. ქაღალდი ყველაფერს ითმენს. არ შეიძლება უარყოფა იმ-სი, რომ ზოგიერთი მხარე ბუდისტური მოძღვრებისა მშვენიერია და უახლოვდება ქრისტეს მოძღვრებას, მაგ, მოძღვრება თავის უარყოფაზე, მოყვასთა სიყვარულზე, კეთილ საქმეებზე, მოწყალებაზე, და სხვანი;*) მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს საზოგადო—კაცობრივი ზნეობა, რომელიც გზავ-

*) ასეთი დაახლოება ბუდდას ზნეობრივი სწავლისა ქრისტეს სწავლასთან მხოლოდ ოცნებაა და მოჩვენება.

ბა ყველა ერში და გამოითქმება მისგან ხან ცხადად, ხან გაურკვეველად, რომამ საზოგადო კაცობრივ ზნეობას ეკუთნიან ის ზემო აღნიშნულნი სათნოებანიც, რომლებიც ასე მშვენიერად აქვს გამოხატული ინდოეთის დიდ მოძღვარს. მართლაც, ამ მხრივ დიდა მსგავსებაა ქრისტეს და მის მოძღვრებას შორის, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ ბუდდას მოძღვრება სხვა შემთხვევაში და არა მეორე ხარისხოვანებში, არამედ არსებითებში პირდაპირ ეწინააღმდეგება ქრისტეს მოძღვრებას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ პირველის შეხედულება ათეისტურია, უმაღლესი იდეა მისი თავის მოკვდინებაა, იდეალი კაცისა არის ბერი და უმაღლესი მიზანი კაცისა არის მოსპობა მისი არსებობისა, — რათა ვსცნათ, რომ ეს რელიგია სიკვდილისა ძირითადად განიჩქევა იმის რელიგიისგან, რომელიც ამბობდა: „მე ვარ ქვეყნარსებობა და აღდგომა,“ და ქადაგებდა ამ მომავალ ცხოვრებისათვის მშვიდობიან სასიხარულო ერთობას ცხოველ ღმერთთან, ზეციერ მამასთან. ჩვენ აქ არ ვეხებით საკითხს შესახებ ერთი რელიგიის უპირატესობისა მეორეზე, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც კი ღირს სიტყვის გაგრძელება მათ მსგავსებაზე ზოგიერთ წერილმანებში, მაშინ როცა ეს რელიგიები ძირითად საფუძვლით ღრმად განიჩქევიან ერთმანეთისგან.

ჩვენ დროში ხშირად გვაჩვენებენ ხოლმე მსგავსებას მოთხრობებში ბუდას და ქრისტეს შობის შესახებ, რომელიც არ შეიძლება რომ შემთხვევითი იყოს. ბუდისტების საღვთო წიგნებში ნათქვამია, მაგ. რომ გაუტამას შობის დროს გაიხმა საკვირველი ციური ვალობა, რომ მეფეებს მოჰქონდათ ახლად შობილთან ძვირფასი საჩუქრები, რომ ბებერმა ბრამინმა მიიწვინა ის მკლავზე და სცნო იგი ყველა ბოროტებისგან მხსნელად, რომ ის მოინათლა წყალში, გამოიკადა ბოროტი სულებისგან უდაბნოში, მის ღედას ერქვა მია და სხვა. რა საკვირველია, ამისა და მსგავსება არის შემთხვევითი, მაგრამ ბუდიზმის მომხრეები ძირის ამბობენ შესახებ იმისა, რომ დასავლეთ

ბუდისტურ კანონში (ცელიონის კუნძულზე) რომელშიც მოძღვრება უფრო სუფთად არის დაცული, ამ მოთხრობების შესახებ ნახევარი სიტყვაც არ არის. ესენი გვხვდება მხოლოდ ჩრდილო ბუდისტურს კანონში, რომელიც მიღებულია თიბეტში და მონგოლიაში. უკვე იმ ფაქტმა, რომ ათეისტურ ბუდისტურ რელიგიაში მოხსენებულია „ზეციური ვალობა“, „ეშმაკისაგან გამოკლა“ უნდა ექვი დავიბადოს ამ მოთხრობათა სინამდვილეზე. მართლაც, ჩრდილოეთის კანონის ძველებურ გამოცემაში ჩვენ ისინი არ გვხვდებიან, მხოლოდ გვხვდებიან ქრისტეს შემდეგ მეხუთე საუკუნის და უფრო უგვიანეს დროის გამოცემაში, ე. ი. იმ დროიდან, როცა ნესტორიელი ქრისტიანები გავიდნენ მონგოლიაში და იქ მრავალთ გააცნეს თავისი მოძღვრება. „სიმართლეზე უფრო ახლოა, ვიფიქრთ, სწერს პროფ. გრანტი, რომ ეს მოთხრობები ქრისტიანებისგან გავიდნენ ბუდისტებში, ვიდრე ბუდისტებისგან ქრისტიანებში“.

ნაყარყანელი
(შემდეგი იქნება).

დეკანოზი იო ნე მოსტოროვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ მასაკახოსის ნიკონის შესახებ.*)

საქართველოს ექსარხოსი კირ-ნიკონი მოკლულ იქმნა იმ დროს, როცა იგი მოემზადა პეტერბურგში წასასვლელად, სადაც ის უნდა დასწრებოდა სინოდის სხდომას. სინოდალურ გაზეთის „Колоколь“ის სიტყვით ნიკონს მიჰქონდა სინოდში „Прякъ уничтожить грузинскій экзархатъ, какъ вредный (!) въ политическомъ и церковномъ отношеніи“.

დეე, იტოდენ მკვლევებმა, აცხადებს გაზეთი „Колоколь“ი, რომ საქართველოს ეკლესიის უფროსის მოკვლით, საქართველოს ეკლესიის პოლიტიკურმა თულებმა მოჰკლეს თვით საქსარხოსო“.

ეგვე შეიძლება! მაგრამ ვის მხარეზე მგონია სინოდის „Колоколь“ს სიმართლე?

*) იხ. „ზინა. საქ.“ № 35.

რუსეთის საქსარხოსო საქართველოში კანონის წინააღმდეგი დაწესებულებაა და ექვ გარეშეა მის გაუქმებას არც ერთი ქართველი საერო თუ სასულიერო წინ არ აღუდგბა. რაც შეეხება კი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიას, მისი შემუსვრა მმართველ სინოდს არ ძალუძს. ეს საქმეა მსოფლიო კრებისა და საქართველოს ეკლესიისა. უკანასკნელს კი შემუსვრა არა სურს თავის ეკლესიისა, არამედ განახლება და ერთობა ყველა მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

უზენაეს მწყემსთმთავრის ხელშია ბედა მრავალტანჯულ,ჯვარმტირთველ საქართველოს ეკლესიისა, მისთვის ლოკულობს აუარებელი კრება საქართველოს ეკლესიის წმ. მოწამეთა და აღმსარებელთა, მის მხარეზეა ყველა აღმოსავლეთის ეკლესია და ყველა მართლმორწმუნე მართლმადიდებელი იერარქი აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიისა. მოწინააღმდეგენი კი საქართველოს ეკლესიისა არიან ტლანქი პანსლავისტები—ძალმომრენი და ის მსახურნი რუსეთის ეკლესიისა,რომელნიც უსამართლობასა და ძალმომრეობაზე აშენებენ თავიანთ კარიერას და იძენენ ფულებს, მიწებს, აკარაკებს ყირიმის სამხრეთ ნაპირზე და ქვის დარბაზებს.

სინოდის „КОЛОКОЛ“მა ეს ყველაფერი უკვეთ იცის, ვიდრე სხვამ ვინმემ.

კავკასიის მართველობას ამტყუნებენ იმაში, რომ მან იცოდა საფრზე, რომელიც მოელოდა რუს ექსარხოს და არ დაიცვა. მაგრამ ექსარხოსი ხომ ჯავშნის მატარებელი ჩინოვნიკი არ იყო, არამედ მწყემსთმთავარი, რომლის მოვალეობაა, მუდამ თავის სამწყსოში იყოს, იზიარებდეს მის მწუხარებას და სიხარულს და არა თუ მისთვის უცხო იყოს და მიმოდირდეს ქალაქში ცხენოსან ყაზახებით. სამწყსო არა თუ ჰქვავს თავის საპატოი და საყვარელ მწყემსთმთავრებს არამედ იცავს მათ, რაც უნდა კარგად ესმოდეს სინოდის „КОЛОКОЛ“ს.

ვინც თხოულობს რომ სინოდმა აღიაროს ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისა და არ ერგოდეს მის საქმეში, ის იცავს საე-

კლესიო კანონებს,ის კი ვინც თხოულობს ამ კანონების დარღვევას, ვინც იწვევს ეკლესიურ ჩხუბსა და უთანხმოებას, ვინც ტაშს უკრავს ბოლგარის სხიზმას, როგორც სინოდის „КОЛОКОЛ“ი და მისთანანი, იმას სწყურია ეკლესიის განხეთქილება. მაგრამ ეს განხეთქილება ავნებს არა საქართველოს ეკლესიის, რომელიც დარჩება ერთობაში ყველა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, არამედ რუსეთის ეკლესიას.

ექსარხოსი საქართველოსი კირ-ნიკონი განაგებდა საქართველოს საქსარხოსოს 1906 წლის ივნისიდან (მოვიდა ტფილისში სექტემბერში) 1908 წლ. 28 მაისამდის და აი ამ ხნის განმავლობაში ბათუმის და სოხუმის საკათედრო ტაძრებში დააწესა წირვა-ლოცვა სლოვიანურ ენაზე, ქართულ ენაზე ღვთის მსახურება კი აუკრძალა მღვდლებს, მიუხედავად იმისა,რომ უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა ქართველები და ბერძენი არიან ბათუმსა და სოხუმში. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსები, როგორც მქონე საკუთარი ეკლესიებისა, არ იყვნენ მოკლებული სამშობლო ენაზე ღვთის მსახურებას.

ექსარხოსმა უარყო ქართველების თხოვნა, რომ აღედგინა ღვთის მსახურება ქართულ ენაზე ტფილისის სიონის სობოროში და ბოლდის მონასტერში, სადაც განისვენებენ ნიწილნი ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორის ნინოსი და ქართველი ილუშენიაც რუსით შესცვალა. წაართვა სოხუმის ეპარქიას ქართველებით დასახლებულს, ქართველი მღვდელმთავარი, რის გამოც ქართველობამ დაივიწყა ღვთის სახელი, რადგან იქ წირვა-ლოცვა სრულდებოდა მათთვის გაუგებარ ენაზე; დაეინებით თხოულობდა უწ. სინოდში გადაეყვანათ იმერელ სამწყსოსათვის საყვარელი მღვდელმთავარი ლეონიდი სამეგრელოში, რითაც მწუხარებას მისცა იმერეთის სამწყსო; სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთა ქართველი თანაშემწენი და მასწავლებლები შესცვალა რუსებით; ტლანქათ და უდიერათ ექცეოდა არა თუ ქართველ სამღვდელეობებს არამედ მღვდელმთავრებსაც;

აღუკრძალა ქართლში ცხოვრება ეპისკოპოს კაიონს, რომელიც იძულებული იქნა წასულიყო რუსეთში...

კანონთ მკოდნე პროფესორი ნ. ა. ზაოზერსკი მღვდელმთავარ ნიკონის სიკვდილის გამო „Голосъ Москвы“ ში ამბობს:

„საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მოწამებრივმა სიკვდილმა რუს ეპისკოფოსთა შორის გამოიწვია საბედისწურო კითხვა:

რომელ მათგანს შეხვდება წილათ დაიკავოს მოწამის კათედრა?*

ამასთანავე სდგება მეორე უფრო რთული კითხვა — როგორ მოიწყოს ეკლესიური დამოკიდებულება კავკასიაში, რომ მშვილობა იქნეს იქ და საფუძველშიდავე მოისპოს მიზეზი სარწმუნოებრივ დავისა, რომელიც იქ დიდი ხანია გამეფებულა.

თვითეული წინამოადგილე განსვენებულისა, საქართველოში მსახურების დროს, გრძნობდა თავს, როგორც გამოსაცდელ ბრძმედ-ში*), თუმცა ამ ბრძმედიდან გამოსვლის შემდეგ ის ღებულობდა საჩუქრათ მოღვაწეობისთვის უმაღლეს არქიეპისკოპოსის ადგილს სამშობლო მხარეში.

რომელ რუს ეპისკოპოსს რომელიც ყოფილა ექსარხოსად, არ მიუღია ეს ეკლის გვირგვინი? სადაა ამ უცხო მოვლენის მიზეზი და საჭიროა თუ არა მოღვაწეობა?

მიზეზი იმ პოლიტიკურ მიზანშია, რომელსაც თავს ახვევს ექსარხოს თავისი წოდება. მიიღებს რა ამ წოდებას, საქართველოს ექსარხოსი ვალდებულია უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებით ახსოვდეს, რომ ის მოვალეა ყველა თავისი ძალა მოახმაროს ქართველთა გარუსებას სარწმუნოებრივ ნიადაგზე. და ეს პოლიტიკური მიზანი (ამავე დროს სრულიად ეკლესიის საწინააღმდეგო) ექსარხოსმა უნდა განახორციელოს ტლანქი საშუალებებით: აკრძალვით, განკვეთით, გათელვით და სხვა სახემწიფო მოღვაწეებთან შეკავშირებით, და რასაკვირველია მათი მიხედვით.

შესაძლოა თუ არა განხორციელდეს ეს მიზანი? ისი წლის გამოცდილებამ დაურღვევ-

ლად დაამტკიცა, რომ ის შეუძლებელია. საქმის არსებითადაც ეს მიზანი განუხორციელებელია. შესაძლოა თუ არა ქართველი, საქართველოში მცხოვრები, რუსათ აქციო? მართლდაც უხად პასუხს მოგვეცემს მეორე კითხვა: შეიძლება თუ არა რუსი, მაგ. იაროსლაველი ან მოსკოველი გარდაქმნა ქართველად?

რომ ძალდატანების საშუალებით გარდაქმნა შეუძლებელია, ეს ახსნას არ თხოულობს. მაგრამ სრულებით შესაძლებელია, რომ სრულიად ძალდაუტანებულად, თავიანთ კეთილი ნებით ქართველები შეითვისებენ რუსებიდან იმას, რაც მათ ესაიძოვნებათ. აი, გარუსების პოლიტიკა ასე რომ იყოს დაყენებული, მაშინ სასწაულებრივი გარდაქმნა მოხდება, ამ შემთხვევაშიაც უფრო ადვილად, სწორეთ ეკლესიურ ან სარწმუნოებრივ ნიადაგზე.

მაგრამ რაშია შინაარსი ამ სასწაულებრივ ეკლესიურ პოლიტიკისა!

მაქვს კალნეირება გამოვთქვა არა ჩემი პოლიტიკური მოსაზრება, არამედ გავიხსენო ეკლესიურ-პოლიტიკური პრაქტიკა ჩვენი დიდი ხნის წარსულის, ჩვენი ძველი ეკლესიურ პოლიტიკის მასწავლებლებისა — ძველ ბერძენ პატრიარქებისა. კითხვაა, როგორ მოხდა, რომ ბუნებით რუსის ხალხი, რომელიც ოდნავ არ შელევია თავის ენას, ნაციონალურ უფლებებს და მხედველობას ზოგჯერ სრულებით წარმართულს, რომელიც ასი წლის განმავლობაში კონსტანტინოპოლის პატრიარქის გავლენის ქვეშ იყო, დარჩა ისეთი ბერძენთ მოყვარე, რომ სარწმუნოების აღსარებაში, ჩვეულების და საეკლესიო კანონების დაცვაში თვით ბერძენებს (ბიზანტიელებს) გადააქარბა? რამოდენი შრომა დასჭირდა პეტრე დიდს და მის მოადგილეებს, რომ დაესუსტებინათ რუსების ბერძენთ-მოყვარეობა ეკლესიურ საქმეებში.

კონსტანტინოპოლის პატრიარხებმა რით მიიზიდეს ვერე თავისაკენ რუსები და იმდენათ გაიმარჯვეს გაბერძენების საქმეში, რომ ხან და ხან უხერხულ მდგომარეობაში სდგებოდნენ, როდესაც თავის მოწაფეებიდან ღებულობდნენ შთაგონებას საეკლესიო საშსახურის ერთგულად შესრულების საქმეში?

*) ბრძმედი: ქუჩა.

ისინი არა თუ სკლილობდნენ გავერცელებინათ ბერძნული ენა ღვთის სამსახურში და რუსეთის ძველ სკოლებში, არამედ იზრომეს სლოვიანური ანბანის გამოსაგონებლად, სლოვიანური წერისა და რუსული ლიტერატურისათვის... „თვითრუსის ხელმწიფეები და მღვდელმთავრები ხმარობდნენ ყოველ ღონისძიებას მიეზიდნათ თავისაკენ ნასწავლი ბერძნები, რათა მათ ესწავლებინათ რუსებისათვის ბერძნული ენა, მსახურება და წესრიგი. ბერძენთა პატრიარხები არასოდეს არ აძლებდნენ რუსებს ბერძენ მიტროპოლიტებს და ეპისკოპოზებს, არამედ ნებას აძლევდნენ „თავდასა და ხალხს“ კანდიდატების დასახელებისას, თითონ კი „განაწესდებენ“, ე. ი. ხელ დასხმიდნენ რუსის მიტროპოლიტს. აქედგან შემუშავდა შესანიშნავი დოგმები ძველ რუსულ კანონიკურ უფლებებისა.

„კონსტანტინოპოლის პატრიარქი სრულებითაც არ ერეოდა რუსეთის ეკლესიის საქმეებში თავის თავათ, და თუ ოდესმე ჩაერეოდა ეკლესიისავე წარმომადგენელთა თხოვნით“...

„მთავარი განსხვავება მსოფლიო პატრიარქის და მის მოწაფეების ძველ რუს მიტროპოლიტებს ეკლესიურ პოლიტიკისა იმაში მდგომარეობდა, რომ მათთვის სრულიად უცხო იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკანობა და სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდნენ თავის თავად. ისინი სცხოვრობდნენ მხოლოდ ეკლესიურ ცხოვრებით, ეკლესიურ მისწრაფებით და თუ ხშირად თავს აბეზრებდნენ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაშიდაც ერთი ნაბიჯით არ გაცილდებოდნენ თავიანთ ეკლესიურ პოზიციას. და თუ მიუხედავად ამ გვარ მოშორებისა სახელმწიფო პოლიტიკისაგან ხშირია მაგალითი მათი თვალსაჩინო გავლენისა ამ პოლიტიკაზე, ეს იმით აიხსნება, რომ თვითონ მმართველები სთხოვდნენ მათ რჩევას და აგრეთვე იმითიც, რომ ზოგიერთ ძველ რუს მღვდელმთავრებს მართლა ჰქონდათ პოლიტიკური ტაქტი, მაგრამ ამ შემთხვევაშიდაც რუსი მღვდელმთავრები ლაპარაკობდნენ სრულიად თავისუფლად, იცავდნენ თავიანთ თვალსაზრისს და იმაზე კი

არ ზრუნავდნენ მოსაწონი იქნებოდა თუ არა მათი სიტყვები მათთვის, ვინც მათ ეკითხებოდა. რუსი მთავრებიც და სახელმწიფო დაწესებულებებიც არ თხოულობდნენ წინააღმდეგს; მოეწონებოდა მათ პოლიტიკური რჩევა მღვდელმთავრისა ან ილუმენისა, მიიღებდნენ მას და თუ არ მოეწონებოდათ, მოთმინებით მოისმენდნენ და თავისებურად მოიქცეოდნენ. ასეთი იყო რუსეთის ძველი ეკლესიური პოლიტიკა. იგი ისე ბუნებრივია, მარტივი და მიზან შეწონილი, რომ უნებურად იტაცებს ყურადღებას ჩვენს დროშიაც, როცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მძიმე კრიზისს განიცდის.

როგორც სჩანს არაფერი ისე არ ართულებს ამ კრიტიკულ მდგომარეობას, როგორც სწორედ ის, რომ რუს იერარქებს და სამღვდლოებას თავს ახვევენ სხვა და სხვა წმინდა პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა რიცხვში უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს კავკასიის გარუსების მიზანსაც წმინდა რეპრესიული ზომებით“

მ. ვოსტორგოვს და მისთანათ ხელს არ შეუშლიდა, ყურადღება მიექცია ქალარა კონონ-მცოდნე პროფესორის რჩევისათვის და ნაცვლად იმისა, რომ მორწმუნე ადამიანებს დააბრალოს ცილის წამებათა გავრცელება მიცვალებულ ექსარხოსის შესახებ, ხელი მიეყო უფრო ეკლესიის საქმეებისათვის და არა პოლიტიკისთვის, რომელიც აფიცებს მრავალთა გულს და მოაქვს სამწუხარო და მწარე შედეგი.

რუსი ექსარხოსი კირ ნიკონი მოჰკლეს ღვთის მიშვებით, მათ შესაგონებლად, ვინც იწვევს ხალხში ჩხუბსა და განხეთქილებას. კეთილი თესლის მთესავს, თავის სამწყსოს მოყვარე და საღმრთო საქმის მკეთებელ ადამიანებს სიკვდილის არ ეშინიათ, აღმსარებლობა და მოწამეობა მათთვის დიდი მოღვაწეობაა და ისინი ღვთის აღთქმისამებრ გადადიან პირდაპირ სიკვდილისაგან ცხოვრებად. ღმერთმა ქმნას, რომ ეს მკვლევლობა უკანასკნელი შეიქმნეს და რუსის სასულიერო უწყებამ მოსპოს ჩავვრა ივერიის ეკლესიისა და მისი ეკლესიურ საქმეში გარევა.

როცა 108 წ. წინად საქართველოს მეფემ ირაკლიმ დასდო თავის სამეფო რეგალიები რუსეთის თვითმპყრობელის ქვეშ, საქართველო უმართლმადიდებელს მხარეს წარმოადგენდა მთელ ქვეყანაში და 3 ქანდა 13 სამღვდელმთავრო კათედრა ქართლში და კახეთში, რომ არ ვიანგარიშოთ დასავლეთი საქართველო.

დაატყვევა რა 1811 წ. ივერიის ეკლესია საღმრთო კანონების დარღვევით უმართველესმა სინოდმა, დახურა ყველა ეპარქია აღმოსავლეთ საქართველოში და შემდეგ იმერეთში, სამეგრელოში და ამ გვარად დააქცია მართლმადიდებლობის საქმე, რომელსაც ქართველები ამაგრებდენ, ავრცელებდენ ამაღლებდენ და აიყვანეს ეკლესია პატრიარქობის სიმაღლემდე. ოცზე მეტი სამღვდელმთავრო კათედრა დაქვრივებული 1811—1825 წლამდე, ათობით დახურული სავანეები და 600 მეტი ეკლესია მწყემს წართმეული, — აინაყოფი რუს ექსარხოსობის მართველობისა საქართველოს ეკლესიაში.

რუსეთის იერარქიამ, რომელსაც შეფერობდა შეესწავლა ბერძენებისა და ქართველებისაგან სარწმუნოების თავ გამოდებით დაცვა, დაისახა თავის მიზნათ აღეწია კეთილდღეობა ივერიის ეკლესიისა რუსულ სკოლების გამართვით და უძველეს მრავალ საუკუნოვან წ. ტაძრების დახურვით, რომელთა დასაცველად დაღვრილი იყო მდინარეები ქრისტიანთა სისხლისა, სარწმუნოების დიდ აღმსარებელთა (ე. ი. ბერძენთა და ქართველთა ეკლესიის მამათა) მოწაფე რუსებმა ხელი მიყვეს მასწავლებლობას და ახალ განმანათლებლობას ქართველებ შორის, და აი ქართველებმა არა თუ შეითვისეს სწავლა თავის უმცროსი ძმებისა, წინაც წაუსწრეს მათ. მ. ვოსტოროგოვი, რომელიც მთელი 11 წელიწადი თავში უდგა საქართველოს ეკლესიის მასწავლებლობას, მოწმობს, რომ რეოლიუციონურ აგიტაციით აღელვებულია ქართველი ხალხი, გაურწმუნოებულია, არა ერთი ათას სემენარიელთა წყალობით, რომელნიც დათხოვნილ იქნენ (Частью съ волеими паспортами) ქართულ სასულიერო სემენარიებიდან, ყოფილ არხიმან-

დრიტრექტორების მიერ: სერაფიმე, სტეფანე, ნიკანდრ, სილვესტრ და გრიგოლისაგან. არა თუ რექტორები და ზედამხედველები სასულიერო მასწავლებლებისა, მასწავლებელთა კრებულსაც კი მთლად რუსებიდან შესდგება და, მაშასადამე, თუ ვისმეს ბრალს დავსდებთ, ყოველ შემთხვევაში არა მოსწავლეებს, არამედ მასწავლებლებს, რომელთა სწავლაც შეითვისეს პირველებმა.

ლ. ჩიხლი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

მცირე შენიშვნა

ბ. ხელის მხილავის გამო

„შინაური საქმეების“ 29 ნომერში მოთავსებულია ბ. ხელის წერილი სამხილებელად ჩემდამო რწმუნებულის ეკლესიის კრებულისა, ამა კრებულის მიერ „ახალი წირვის“, „ახალი სიტყვების“ და „ახალი ენის“ შემოღებია გამო ღვთის მსახურების დროს. ამ „ახალ წირვასა“ და „ახალ სიტყვებს“ ისე უმოქმედნია ბ. ხელზედ, რომ „ვერ გაუგია ეკლესიაში მდგარა, თუ სხვაგან სადმე“ და ტაძრიდან „დიდად გულნაკლული გასულა!..“

რა გვარი „ახალი სიტყვები“ გაიგონა ბ. ხელმა ქვაშეთის ეკლესიაში, ესა სჩანს მის მიერ მოყვანილის ერთად ერთის ფრაზისაგან: „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ“, ჩვენ მიერ ხმარებულისა ნაცვლად „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“. თუმცა არც პირველ თქმულებას უშავს რამეო, სწერს ბ. ხელი, მაგრამ მაინც მეორე სჯობსო, რაითგანაც „უფრო მკაფიოდ ხატავს მოწოდების მიზანისა“—ო. შევდგეთ აქ და ვიკითხოთ: რა მიზანი აქვს ამ მოწოდებას? თუ დაუკვირდებით წირვა-ლოცვის იმ მომენტს, როდესაც იხმარება ეს კვერეკსი, გავიგებთ, რომ ამ მოწოდებით დიაკონი (ანუ მღვდელი აცნობებს მვედრებელთ, დროა საზოკადო

ღვთის მსახურება (წირვა, ცისკარი, მწუხრი გავეთავოთო. ხოლო სიტყვებით „აღვასრულოთ“ გამოიხატება ის აზრი, თუ ვინ საჭიროებს ამ ვედრებას? მოგეხსენებათ ქართული ენის თვისება—ერთის ასოს შეცვლა როგორც სკვლის აზრსა: მაგალითად, ყველა დაგვეთანხმება, რომ გავაკეთოთ და გაუკეთოთ, გავათავოთ და გაუთავოთ—ერთი და იგივე არ არის. სიტყვებით „აღვასრულოთ ვედრება ხვენი უფლისა მიმართ“ ჩვენ გამოვსთქვამთ იმ აზრსა, რომ ეს ჩვენი ვედრება ჩვენთვისვე არის საჭირო, ხოლო თქმით „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“—გამოდის, რომ, თუმცა ჩვენ ვევედრებით უფალს. მაგრამ თვით უფალიც საჭიროებს ამ ჩვენს ვედრებას. რა საკვირველია, ეს აზრი შესაწყნარებელი არ არის და სწორედ ამისთვის ბ. ხელი განგვიმარტებს ამ მოწოდების შინაარს ასე: „ჩვენ ვალდებული ვართ ვევედროთ უფალს, ე. ი. ღვთის ვედრება ჩვენი ვალდებულებაა, ვალდებულება კი უნდა აღუსრულოთ მას, ვის წინაშეც ვალდებული ვართ. გამოდის ასეთი მოწოდება: მორწმუნენო, „აღვასრულოთ ვალდებულება (== მოვალეობა) ჩვენი უფალსა“.

დავეთანხმოთ დროებით ბ. ხელს, რომ ვედრება უფლისა მიმართ არის ვალდებულება. მერმე რომელი თქმა „უფორო მკაფიოდ“ გამოხატავს ღვთისა და კაცთა შესაფერს განწყობილებას: აღვასრულოთ, თუ აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა? ცხადია, პირველ თქმაში ადგილი აქვს ნება—ყოფლობითს განწყობილებას, ხოლო მეორე თქმაში—იძულებითს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვედრება უფლისა მიმართ ვალდებულება კი არ არის არამედ ისეთივე მოთხოვნილებაა ჩვენის სულიერის არსებისა, როგორც აზროვნობა, უბნობა გაღობა და სხ.. ვედრება, წმ. იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელიისა და ეფრემ ასურის აზრით, არის საუბარი უფალთან, ზეალკუნა მისდამი გონებისა და გულისა, და ამისათვის მისი ვალდებულებად დასახვა ისეთივე უაზრო იქნება, როგორც სუნთქვის, მოძრაობის და სმ.—კანის მოვალეობად შერიცხვა. ხოლო

თუ სადმე ვედრებას¹⁾ მოვალეობად და არა ჩვენის სულიერის არსების პირდაპირ მოთხოვნილებად სთვლიან იქ, ქეშმარიტად, შეუძლებელია „სარწმუნოების აღდგენა“, იქ შესწორებული კი არა, არავითარი კონდაკი აღარ არის აქირო!

ამას ისიც უნდა დაურთოთ, რომ ჩვენს ეკლესიაში გამოგონილი ფრაზა არ არის ჩვენ მიერ „ნამახინჯება“, როგორც ჰგონია ბ. ხელს, არამედ ამოღებულია მეცამეტე საუკუნის კონდაკებისაგან²⁾, სადაც ნახმარია ეს სიტყვები ამ რედაქციით: „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა ღვთისა მიმართ“. გამოსტოვებულ ზედმეტი სიტყვა—„ღვთისა“—, რომელიც არ არის ბერძნულ დედანში და შეგვრჩება ხელში ჩვენ მიერ ნახმარი მოწოდება. სჩანს, ბ. ხელი ნაკლებად იცნობს ჩვენს ძველ ხელთნაწერებს და ამისგან უნებლიედ დაგვსახა „ახალ ენის“ და „ახალი სიტყვების“ შემომღებად...

ჩვენდა სამწუხაროდ არსად არა სჩანს, რომ ბ. ხელი უკეთ იცნობდეს დაბეჭდილ საეკლესიო წიგნებსაც, თორემ მისი წერილში ადგილი არ ექნებოდა ამ სიტყვებს: „ორმოცდაათი წელიწადი ერთნაირი სიტყვები შესმოდა, შეჩვეული ვიყავი ერთნაირ წირვას შეზრდილი ვიყავი ერთნაირ სიტყვების განწყობილებას“... რამდენად ერთნაირი სიტყვები და ერთნაირი მათი განწყობილება ეს—მოდა ბ. ხელს, ეს გამოსჩნდება შემდეგის მაგალითებისაგან:

1, ის მოგვმადლენის კვერქსი, რომელიც იწყება სიტყვებით: „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ“, იხმარება ცისკარზედაც და წირვაზედაც, მაგრამ ერთ-ერთი იქ მოთავსებული თხოვა ცისკარზედ იკითხება ასე: „ღღეყოველი სრულად, სიწმინდით, შეიდობით

¹⁾ ვედრება, აგობს საბა, ნიშნავს ხვეწნას და ისიც ცრემლია ის თვალთა და სიტყვითა. კარგი სანახავე იქნება, როცა მორწმუნენი ვალდებულებისა გამო დაიწყებენ ცრემლთა ღვრას და ხვეწნას!...

²⁾ ამ კონდაკებს შესახებ იხილეთ დ. კ. კვეციძის *Литургическія грузинскія памятники и ихъ научное значеніе*. Тифл. 1908 г. стр. 48... და „ზინაური საქმეები“. № 27 ამ წლისა, ბ. რაძილა წეილი.

... ვითხოვთ*, ხოლო წირვაზედ: „დღე ყოველი აღსრულებად სიწმიდით, შედობით, ... ვითხოვთ“.

2, ლიტის ლოცვაზედ დიაკონი იტყვის: „აქხონე ღმერთო ერი შენი... მეოხებითა პატიოსანთა უსხეულოთა ზეცისა ძალთათა“, ხოლო მღვდელი: „... მეოხებითა პატიოსანთა უხლოთა ზეცისა ძალთათა“...

3. დიდ მშვიდობიანზედ, წირვის დროს, ვიტყვით: „წმიდისა ამის სახლისათვის, და სარწმუნოებითა სასოებითა და შიშითა ღვთისათა და შემაველთა“.... ხოლო „რომელი ქრობინთა“ს წინა კვერქსში, — „წმიდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებით, კრძალულებითა და შიშითა ღვთისათა... უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

4. „მამაო ჩვენო“ს შემდგომ სათქმელი ასამაღლებელი იქროპირისა და ბასილის წირვაზედ იკითხება: „რამეთუ შენი არს სუფევა. ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმ. სულისა“... ხოლო პირველ შეწირულის წირვაზედ: „რამეთუ შენი არს სუფევა, და ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმ. სულისა“..

5, მესამე მუხლში ნაჩვენების კვერქსის ასამაღლებელი 1884 წ. გამოცემულ კონდაკში იკითხება: „რათა ძლიერებითა შენითა ყოვლადვე დსკულნი შენდა დიდებასა აღვაგლენთ, მამისა და ძისა და წმინდისა სულისა“.. ხოლო 1891 წ. გამოცემულში¹⁾: „რათა ძლიერებითა შენითა ყოვლადვე დსკულნი შენდა დიდებასა აღვაგლენდეთ, მამისა“..

6. 1884 წ. კონდაკში ელოცვილობთ: „მოიხსენე უფალო ქალაქსა რომელსა შინა ვმცხემობთ, და ყოველთა ქალაქთა და სოფელთა და სარწმუნოებითა, მკვიდრთა მას შინა, მოიხსენე უფალო, მენავეთა, მოგზაურთა სნეულთა, მშრომელთა, ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის“.. ხოლო 1899 წლისაში კი: „მოიხსენე, უფალო. ქალაქი რომელსა შინა ვმცხემობი, და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი. და სარწმუნოებით მკვიდ-“

¹⁾ თითავე გამოცემანი ხმარებაშია დღეს.

რნი მას შინა, მოიხსენე, უფალო: მენავენი მოგზაურნი, სნეულნი, მშრომელნი, ტყვეთა მსხნელი, და ცხოვრება მათი“..

ნათლისღების დროს წასაკითხავი სახარება კურთხევანში ასეა დაბეჭდილი: მას ეამსა შინა, ხოლო ათე თერთმეტნი იგი მოწაფენი წაუვიდეს გალილეთსა მთისა მას, სადაც უბრძანა მათ იესო: იხილეს იგი და თაყვანის-ქსცეს მას: ხოლო რომელინი შეორგულდეს, მოუხდა მათ იესო ეტყოდა და რქვა“... 1898 წ. გამოცემულ პატარა ტანის სახარებაში, რომელიც ხშირად იხმარება ნათლობის დროს ესევე დასაწყისი მათეს სახარებითგან ასე იკითხება: „მას ეამსა შინა, ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეთს, მთისა მას, სადაც უბრძანა მათ იესო. იხილეს იგი და თაყვანის-სცეს მას, ხოლო რომელნიმე შეორგულდეს. მოუხდა მას იესო და (თქვა“..¹⁾.

8, პირველი ქორწინებით შეუღლებილსა გვირგვინის კურთხევის დროს ვევედრებით უფალს: „უფალო. ღმერთო ჩვენო, რომელმან პატივითა და დიდებითა გვირგვინოსან ჰყვენ ესენი“, ხოლო მეორედ ქორწინების შეუღლების დროს: „უფალო, ღმერთო ჩვენო, დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ჰყვენ ესენი“.

9), პანაშვიდის შესრულების დროს იკოსში გვემის: „ვინაცა დაკლვისა ჩვენისა გოდებასა ვგალობთ“, ხოლო ანდერძის შესრულების დროს იმავე ლოცვაში ეს სიტყვები ამ გვარად წაიკითხების: ვინაცა დაფვლისა ჩვენისა გოდებასა ვგალობთ“..

10, შუადამის ლოცვაში მოყვანილის 138 ფსალმუნის ერთი მუხლი ასე იკითხება: „არა დაეფარა ძალი ჩემი შენგან რომელნი ჰქმენ დაფარულად“, ხოლო თვით დავითნიში იმავე მუხლს ასე ვკითხულობთ: „არა დაეფარა ძვალი ჩემი შენგან, რომელი ჰქმენ დაფარულად“.

დამ კ. ცინცაძე
(შედეგი იქნება).

¹⁾ მსიქითე ყურადღება წერტილ-მიძივსაც და შეადარეთ ეს სხვა და სხვა დროს გამოცემული ერთი და იგივე ადგილი სახარებისა ეს დაინახეთ, რომ ახრთა სხვა და სხვაობა თვალსაჩინოა: ვის მოუხდა იესო?

რას ამბობენ ზმსანიშნავი აღმონათბი

ბიბლიის შესახებ? *)

ი. უილფონსი,

ა. ბ. კრუგლოვი, თანამეორვე ნიჭიერი რუსი მწერალი ფრად მადლა აქენებს ბიბლიას. მას სურს, რომ სახარება ქვეყნის მაცხოვრის ყოველად ძვირფასი იყოს თვითოეულ მწაფის გული-სათვის. „მეცით, სწერს იგი, ახლგაზღობას განსვენის ძველი და ახალი აღთქმის საუცხოვო მითხრობებზე, მამსჭვალეთ მისი აზრი და ფიქრი მაცხოვრის ცხოვრებას, დაუსლავეთ მის გულს წიგნი წიგნთა, ე. ი. სახარება.“ 7)

ბიბლიის ღირსდბის შესახებ კრუგლოვი ამბობს: „შორს მშფოთავ ქალაქის ამოებისაგან, სადაც უკლაფერს აერუებს ბაზრის უვირილი, ვკითხულბ სდმრთო და დიად წიგნბის და ვაკვირდები მათს აზრსა. რა სიმარტიეა და სიმართლე თითოეულ სტრიქონში! ასე მხლად სიწმიდე ამბობს... თუ ვინმე მომუშაობს არის სულიერა წყურვილით მივიღეს—**წყარო განძობბ!**“)

სახარებაში მოთავსებულ მაცხოვრის სწავლის საცხოვრებისა მნიშვნელობაზე კრუგლოვი შენიშნავს

მისი სწავლა ხიტევა არის ნათლის,

უკლაფერი სიდრევა გარეშე მის აღთქმისა, და უკლა ის სიმართლეს, რაც ქრისტესი! 8).

ცხოვლად აღგვიწერს თავის შთაბეჭდილებას ბიბლიის კითხვიდან გამჩენილი თანამედროვე მუბლიცისტი და კრიტიკოსი ბ. ბ. როზანოვი. იგი სწერს: „სიტევა ღვთისა ზირველად გავიცანი უნივერსიტეტი მეორე კურსიდან მეს.მეში გადასვლის დროს სახსოვარია ჩემთვის ეს სდაში. სრულბით მყოქლურებული უხასკულ კლასიკურ კბზამენიდან შინ დაებრუნდი. შეუბირებლად, მაგრამ შეზირებულით ამ წელს ჩვენთან იკითხებოდა ურჩეულესი და უმშენიერესი ნაწარმოები კლასიკური სიძველისა: მექქეს სიმღერა ილიადის „De Republica“ ციცერონისა და „სიტევა გვირგვინის

შესახებ“ დემოსთენისა... მოვედი შინ, წიგნები ოთახის კუთხეში მივატდე, დავეკდე სვარძელზე, მაგრამ ვერ დავიძინე, და რადგან სტუდენტი სწრაფად კითხულობს, როცა არ ღაზრავთბს, ჩამოვიღე თაროდან აქამდე მოწიწებით შენახული ორი ძველის ძველი ტომი ბიბლიისა, აღექსანდრე კურთხეულის დროს გამოცემული, მივიკვირე წვირად ასოებით სლავიანურად დაბეჭდილი. დავღვი ღოკინის მორგვე და გავხსენი—რასაკვირველას შემთხვევით—დასწეისი ისაია წინ:სწარმეტყველისა... და ვიწვე თითქმის ჩათვლით ამოღება, მაგრამ თან და თან უფრო ჩქარა და ჩქარა. და აქ ვიკრძენი, სახელდობრ ახლა, იმ ბერძნულ შთაბეჭდილებათა შემდეგ, თუ რამდენად ეს წიგნი უძლიერესია, უმარტივისი, უსაჭიროესი, უწმიდესი ყველაფრსა... ზირველად მივხვდი თუ რისთვის არის ეს „ღვთის შთანგან“, ე. ი. რისთვის გადაწვეტიეს ასე აღამიანებმა ამ ერთად ერთი წიგნის შესახებ და არა სხვებზე. ეს წიგნი სადაც სულთს უფსკერო სიღრმეს მიდიდა... ეს სრულბით სხვა იყო, ვიდრე დამოსთენი. ჭოი საუცხოვო სირია, ჭოი სიღრმელანი შენი! ჩვენ არასიერი გვესმის აღმოსავლეთში დმერთი იტყვის, კაცი კი ამბობს. მართლად ის კი არაა შესანიშნავი, რამ აქ (ისაიას) „ღმერთი“ უწერა. ისაიას, რამ „ღმერთი“ არ დაეწერა, სულ ერთია, შე და უკლა ვიკრძნობდით, რამ ეს ღვთის სიტევა, რამ საზოგადოდ ეს რადც არა კაცობრივი სიტევა, სტორიც არის იგი! რა ძვირფასია! სიცოცხლას მომჩინებულა, არა როგორც მარტო ზნეობრივი სწავლა, არამედ რადც სხვა, უღრმესი—აი რაშია სქმე. ამ დროიდან მიეკარს და ვკითხულობ ღვთის სიტევის. ამ 1880 წლამდე არასოდეს არ წამიკითხავს იგი. გიმნაზიაში რვა წლის სწავლის დროს ჩვენ, მოწაფეებმა, გავიარეთ კატენისი, ტობიანი, ისტორია რუსეთის ეკკლესიისა, ძველი აღთქმის სადმრთო ისტორია რუდეკოვისა და მისივე ახალი აღთქმა. მაგრამ სახარება და ბიბლია არასოდეს არ წამიკითხავს. ერთმანერთისაგან ამ ორ წიგნს იმით ვარჩევდი, რამ სახარება ზატარაა, ბიბლია კი ვებრტეულბ და მძიმე. შემდეგ გავიცანი აგრეთვე საუცხოვო „წიგნი ტობიანისა“, სიტევა იობისა, ფურცლები „მეფეთა ისტორიისა“, და სიღრმელ „შექმნათა“. უკლაფერი კეისარ კარგია,

7) Запросы духа спб. 1903 г. стр. 35.
8) Любовь и истина (духовные молитвы).
стр. 17—18.
9) Тимъ же стр. 19.

რომ ძნელა გამოთქმა. სამწუხარო გიმნაზიის სწავლაში ის კი არ არის, რომ ეს სსწავლებელი მცირედ იძლევა სარწმუნოებრივ განათლებას, არამედ ის, რომ იგი იძლევა ამას რაღაც გადასახინჯებულის, ან სხვაგვარად შესუსტებულის სახით. სიტყვა ლათინა დედანში—ი ერთი საშუალებაა თანაგანი ხსნისა. ლათინ სიტყვის არა მარტო მოსმენა, არამედ წაკითხვაც. ბიბლიაში არის ისეთი სტენები. გვერდები, მთელი წიგნები, რომლებიც სრულებით მისწავლობა უნახეს ზარაკისათვის. „წიგნი ტობისი“, ისტორია მსჯულთა, მღვდელმთავართა და მეფეთა. აქ უგველაფერი მხატვრულია, ცხადი, უმხნეო და ამასთან გასატეხი.¹⁰⁾

წიგნაკში „ქრისტიანობის ალაგო ისტორიაში“ როზნანოვი ამბობს: როგორც უნდა იყოს ჩვენი ცოდნა, მთიდან ქადაგება მაცხოვრისა დარჩება საუკუნო ჭეშმარიტებად, რომლისადმი მისწრაფება არ მოვსაბობთ, სხნამ არ მოგვესმობა გრძობა უბედურებისა და დამცირებისა, სხნამ დაუჩრებით ადამიანებად... სახარებაში ვხედავთ ბრწვინვალე სიხარულს, შენდობა—შერიგებას, კაცთადმი სიუარულს, მაცხოვრის ყოველ სიტყვასა და მოქმედებაში ისმის რაღაც დრმა მასობელი უკვლასი, თვისკენ მიმზიდველი, რაც თვის შიძის ჩაკეტვას კი არ გვაძლელებს, არამედ, ზირიქით, გვაძლევენებს სულს.¹¹⁾ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახარების ვითხვას ადამიანში კაცთ-მოყვარულ მსოფლ-მხედველობის შესაძუშეებად, ამას მოწმობს საკუთარი გამოცდილებით ნიჭიერი ზოტო ა. შ. ჭემუჟნიკოვი (1821—1908) დრმად ზოტოვისმცნეული ახალ-ადოქმის სიტყვისა. ლექსში ადრეული გაზაფხული“ იგი ამბობს:

განთავსე სულიერი ცხოვრების
შევიუარე ქრისტეს სწავლა-მოძღვრება,
დამბიერი გულითა და გონებით,
უსსამართლო ტლანქი იყო დროება,
მხოლოდ ქრისტე აშვილებდა კაცთა გულს,
მამურად და უოველთა ტვირთ შიძიეთა
ახალ-გაზდას მისწავლიდა სიუარულს...
აბა ვით უნდა თუ რა შევიქნებოდი

¹⁰⁾ Около церковных стѣнъ т. I. спб. 1906 г. ст. 184—185.

¹¹⁾ мѣсто христіанства въ исторіи.

მხეცება როცა დამიდგებოდა,
რომ იმ დროს სახარების სიტყვათა
მაღლი გულზე აღარ გადმომეყენოდა?¹²⁾

6. 6. ნებლუევი (1851—1908 წ.) თანამედროვე რუსი მწერალი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აღტაცებული თავჯანის მცნეული რღვრების წიგნისა. ერთს თავის ნაწარმოებში არ არის ჭეშმარიტება?“ იგი შესანიშნავი კალით ბეჭდს ღაზარაკებს ბიბლიის შესახებ. მოვიყვანოთ ზოგიერთი უფრო საუკრადღელო ადგილები ამ წიგნიდან.

ნებლუევის აზრით საუფქველიანი ცოდნა ბიბლიისა სავალდებულოა უკვლას ადამიანისათვის, ვისაც სურს განიერად იცნოვროს ქრისტიანულ სახელმწიფოში. ეს ცოდნა აუცილებელია უკვლასათვის განურჩევლად, მორწმუნისათვის და ურწმუნისათვის“ მორწმუნეს არ შეუძლია არ ესმოდეს, რომ ღვთის ნების აღსრულება მისთვის საუკუნო ცხოვრების და საუკუნო კურთხევის საკითხია; რომ ღვთის ნების აღსრულება შეუძლებელია, თუ არ იცო ნება ღვთისა; რომ ცხოვრების სიტყვებს შეიცავს წმინდა ბიბლია. ურწმუნო, რომელსაც მიახნია ქრისტიანობა დამღუბველ ცრუმორწმუნებად ან გამოსადეგ ზოლოტიკურ თიქცად, საუფქველიანად უნდა გაეცნოს ბიბლიას, რათა შეკნებით მოექცეს მას, რის წინაღმდეგაც სურს ბრძოლა, ან რომლითაც სურს სარგებლობა; ქრისტიანობის უარყოფა, შეუგნებლად, არ შეუკრის განიერ არსებას, მით უმეტეს სასიონცხობა მისთვის, ვინც უარყოფს მას განების სახელით. ვისაც აქვს ცხოველი სარწმუნობა, მას ესმის თვისი აზარაობა, იცის, რომ მხოლოდ ღვთის სიტყვას შეუძლია იხსნას მიოსი ჭეჟა, გული, და ცხოვრება ბედითი ცთოთისაგან; იცის, რომ ცნობა ღვთის სიმართლის საუკუნო ჭეშმარიტებისა უმადლესი საარსებო მოთხოვნილებაა მისი ცნობა-შეკნებისათვის და რომ ამ საქში მას არ შეუძლია მიენდოს სხვა ვინმეს, არამედ უნდა შეისწავლოს სიტყვა ღვთისა თვითონ, უამისოდ შეუძლებელია ეთფა შეკნებულ ქრისტიანედ, უამისოდ ცხოვრებად არ იქნება შეკნებულად ქრისტიანული. ფრად უბრლო ადამიანებიც, რა წამს ცხოველი რწმენა გააბრწვენებს მათ, გულით გრძობენ, რომ ეს ასეა, ვიცოდი უსწავლელი ად-

¹²⁾ стих отвор А. Н. Жемчужникова, т.

მიანება, რომლებიც ისე სარბად იტყუებდნენ გამოცხადების სიტყვებს და ისეთი სიუფარულით იმარხვდნენ მათ თავიანთ გულში, რომ თუმცა კითხვა არ იცოდნენ, მაგრამ ზეპირად იცოდნენ ფრთხილ მრავალი ბიბლიიდან.

წმიდა ეკლესიას შეუძლია ხელმძღვანელობა გასწიოს ღვთის სამართლის, ჭეშმარიტების ცნობაში და ცხოვრების რწმენასთან შეთანხმებაში. ეველა მორწმუნე მოვალეა საფუძვლიანად იცოდეს სიტყვას ღვთისა, ისე როგორც მოვალეა თვით იქმნაღეს ზეციერი მამის ნებას. თქმა, რომ ბიბლიის შესწავლა სასულიეროთა საქმეა, უბრალო ქრისტიანებს კი შეუძლია სრულებით არ იცოდეს მისი შინაარსი, ეს ისეთივე სისულელეა, როგორც რომ ვსთქვათ, თითქო მეცნიერების შინაარსის ცოდნა არ წაითხვა მასწავლებლის საქმეა, მოწაფეს კი შეუძლია არაფერი იცოდეს და იმით კმაყოფილდებოდეს რომ სცნოს მასწავლებელს მასწავლებლად, მეცნიერებს — მეცნიერებად და კარგულად ჰატივს ტყუილ მასწავლებელს და მოწაფეებს. ასე ქცევა ცხადი სისულელეა, მაგრამ მაინც აღმიახებს, რომ ღვთისად დიდი რწმენა აქვთ თავიანთ თავის და თავისი განხორბივა ნიჭისა, მორწმუნე აღმიახებს მოაქვთ თავი და სწორეთ ასე კი ეკიდებიან ეკლესიას და ღვთის სიტყვას. მორწმუნე აღმიახებს საფუძვლიანად რომ არ იცოდეს საღმრთო წერილის შინაარსი სასიბრცხვო უმეცრება, მით უფრო სასიბრცხვო, რადგან უფრო სწავლულია, რადგან მეტა წიგნი წაუკითხავს, რადგან მეტი დრო დაუხარჯავს მეცნიერებისათვის და არ უარება, რომ სრღმრთო წერილი, წიგნი ცხოვრებისა, უფრო ჩინებულია და საინტერესო, ვიდრე სხვა რომელიმე წიგნი და ცოდნა ღვთის სამართლის საუკუნო ჭეშმარიტებისა ეველა სხვა ცოდნაზე უსაჩინოა.

ერთ ფესვ-გაღებული ცრუ მორწმუნეობა, რომ შიგლი ბიბლიის თავიანთ ბოლომდე წაკითხვა თითქო მისაწევი და უსარგებლო იქოს. ამ ცრუ-მორწმუნეობის გაგების ქვეშ ვუთხრა მეც მე-3 წელაში. მრავალი წიგნი წაუკითხე ამ ხნის განმავლობაში, რომელთა წაკითხვა მართლ მისაწევი იყო და უსარგებლოც და ხელს არ ვკიდებდა „ცხოვრების წიგნის“ შესწავლას. ახლა, როცა წაკითხე აგი, დარწმუნებით ვამბობ, რომ ბიბ-

ლიის კითხვა მისაწევი არაა და ფრთხილ სასარგებლოა, რომ „ცხოვრების წიგნი“ შინაარსის უცოდინარბა ქრისტიან ხალხთა განათლებულ წევრში-სათვის საძირა უმეცრება, რომ სწორედ ბიბლიას ფრთხილ წყობილი მსოფლმხვეველობა, ეფუძლად მაღალი იდეალი და ეფუძლად სრული ზნეობა, მისწდომნი აღმიახებს განხორბისათვის მთელი ბიბლია ჩემთვის ერთი მწეობრი მთელია და ეს საღმრთო ჭარმონია „ცხოვრების წიგნის“ ცხოველ-მეთაფელ სულის უმაღლესი სასწავლია, რომელიც მე განვ ცადე, როგორც ოდესმე თომამ, და ვგრძნობ მას სიუფარულითა და განხორბისა და გრძნობათა საძლიერით.

ო. მჭირი.

(შემდეგი იქნება).

ღათიას შვილები

(გურიის ცხოვრებიდან).

VII

ერთი მოსახლე გლეხისა ხალხი შეყრილა მრავალი, რალოცას ფაციფუტონენ ეზოში მიმომავალი.


„ტირილი“ ქონდათ ვილაცა გულ საწვავ ახალ გაზღისა, ყველა ქვ თინებს იქ მყოფი, თვალთაგან ცრემლი ჩაღისა.

ამობენ ავი ამ ნახესა, ამ ამბის გახსენებასო, ძმებო, რას უცდით, საყდარზე მკვდარისა გასვენებ სო.

შედიოთ და გამოასვენეთ მიცვალეზულის ცხედარი, დღამდა, რაღას უყურებთ, განვენების დროც ეს არი“.

კუბო გამოაქვთ, ქვეშ უღვას ერთად ბიკები შვილია, მიღვრად დაღვს და იქ მღვდლისგან გათავლა „პანაშვილი“.

ამ დროს შეიქნა საზარი კივლ-წივილი ქალბეთა, დედა ჩხილ-ქაბრალოთა ყველამ მე



მეც წამათრიეთ საყდარზე,
ხელი მომიკიდეთ ამ მკლავში,
აქ არ დამტოვოთ, იქ მაგას
თან ჩამაყოლეთ საფლავში!

მიკვირს, რომ ბაწრით არ ყავდათ
საწყალი მამა შეკრული!
წვერსა და ჯღვას იგლეჯდა,
თავპირს იმტვრევდა ბედ კრული.

ესენი იყვნენ: დათია
და მისი ცოლი თათია!
სამ შეიღებს ერთად გლოობდენ,
გასამტყუნარი რათია?!

ამ დროს, ჭიშკრიდან მოისმა
ორი კაბუჯის ყვირილი:
„არ გაასვენოთ, გვატალეთ
მაგ ჩვენი ძმისა ტირილი“.

ხალხი შეჩერდა, ყველამ სთქვეს:
დათიას შეიღებიაო,
გამოქცევიან ფირალბებს,
ორივეს შევლენიაო!

შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი,
ყველა დათიას უღოცავს,
ეუბნებიან: ნუ სწუხნართ,
გავს, რომ თქვენ ღმერთი გილოცავს!

აქ შეიცვალა სუათი,
მიიღო რაღაც სხვა ფერი,
ტირილი შესდგა, სიცილიც
ამ დროს არ არის საფერი.

მშობლებმა, რა კი დაკარგულს
თავის შეიღებესა შეხედეს,
მივარდნენ, გადაეხევიენ
რას იპოვიდნენ უკეთესს!

დათიამ უთხრა: „ნუ სტირით
ძმის სიკვდელს დაკარგვასაო,
ოღონ ეცადეთ თათრებთან
ამ სისხლის გადახდასაო.“

მაგ უსჯულოთა რაც ცეცხლი
შემოგვიკიდეს მწველათო,
მაგის დაქრობის წამ ლი
ძნელია საპოვნელათო.

მაგრამ, აქარლებს ყოველთვის
შევხდებით ჩვენცა შეხათო,
ჩვენი ერთობა იმათთვის
გახდება თავსატეხათო.

ქართველებს, სისხლი ძველთაგან
არვისთვის შეურჩენია,
და ეს უკვდავი სახელი
დღემდის ჩვენც შემოგვრჩენია“.

ხალხს გადახედა ცეცხლის ფრად
აღელვებული თვალებით,
სთქვა: „მტერს სისხლს ჩვენცა გადაუხდით
შეერთებულის ძღვენით.“

თათრებთან ხშირათ შეგვხვდება
ომი, რა საკვირველია...
ოხ! ნეტა თვალთ მაჩვენა
ამ ჩემი შეიღის მკვლელია.

იმის სისხლს დაგლევე, ვით მისვამს
წვენი ჩხავერის მაქარის,
მარტო შევებმი, თუნდ შემხვდეს
მთელად მკხოვრები აქარის“.

დათიას შეიღებს ტირილით
ამოეჩუყათ გულია,
ენანენოდათ, მათ თვალწინ
მკვდარი ძმა დაკარგულია.

ყაბალახები მოძებნეს,
საშიში სანახავეები,
გახსნეს უცბათ და თათრების
ამოაგორეს თავები.

და მამას უთხრეს: ეს არის
ჩვენი ძმის მკვლელთა თავები,
მოვკალით, მძორი იქა ძვეს,
აწი შესქამდნენ სვაეები!

მშობლები ზეზე ავარდა,
შესწყვიტეს ოხვრა და გვენა.
მადლობას სწირვენ უფალსა,
რომ ამით... დაანუგენა.

დელამ შეიღები დაკოცნა
„მკვდარ შეიღსა აღარ ვტიროო,
„გულზე მომშორდა ნადველი,
ტანჯვა და გასაჭირიო...“.

ხალხმა დასტაცა მკლარს ხელი,
საყდრისკენ მიგრიალობდენ.
წინ მღვდლები მიუძღვებოდენ,
„წმიდაო ღმერთო“ ს ვალობდენ.

ესე ამბავი ბავშებო
თქვენ არ გეგონოთ ქორია,
მერწმუნეთ ისე სწორია,
ვით ერთჯერ ორა, ორია.

(დასასრული) რ. საჯავახოელი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მახალიძე.
გამომცემელი იოსებ ლეშავა